თანამშრომლობის მემორანდუმი
კონკურენციის პოლიტიკის სფეროში
თურქეთის კონკურენციის ორგანოსა და
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შორის

თურქეთის კონკურენციის ორგანო და საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მხარეები“),

გამოხატავენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას მხარეთა სახელმწიფოებში,

მიზნად ისახავენ რა, ხელსაყრელი პირობების შექმნას ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის,

ხაზს უსვამენ რა, კონკურენციის მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის ეფექტურ განვითარებაში,

თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მხარეებმა, ამ მემორანდუმის შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყონ და გააძლიერონ თანამშრომლობა, მხარეთა სახელმწიფოებში კონკურენციის სამართლის აღსრულების და კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

მუხლი 2.

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით, გონივრულად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით:

ა) ინფორმაციის გაცვლა კანონმდებლობის განვითარებასთან მიმართებით;

ბ) გამოცდილების გაცვლა მოკვლევების სფეროში, მხარეთა სახელმწიფოებში კონკურენციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით;

გ) გამოცდილების გაცვლა კონკურენციის ორგანოებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით.

მუხლი 3.

მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი ფორმები შესაძლებელია იყოს შემდეგი:

ა) კანონმდებლობის განვითარებისა და საქმეების შესახებ არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა;

ბ) სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება;

გ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

დ) ექსპერტების შეხვედრები ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მხარეთა ექსპერტებს შორის კონსულტაციები, ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ე) მაღალი რანგის შეხვედრების/ვიზიტების ორგანიზება ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებისა და მიმართულებების განხილვისათვის;

ვ) მხარეთა მიერ გამოქვეყნებული არაკონფიდენციალური დოკუმენტების, კვლევების, წიგნების და ა.შ. გაცვლა.

მუხლი 4.

ინფორმაციის გაცვლა მოხდება ინგლისურ ენაზე, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

მუხლი 5.

ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური საკითხები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 6.

მემორანდუმის მოქმედებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას მხარეთა სახელმწიფოთათვის საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ამ მემორანდუმის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს განმარტებული და გაგებული, როგორც მხარეთა სახელმწიფოთათვის უფლებების ან ვალდებულებების დაკისრება.

მუხლი 8.

წინამდებარე მემორანდუმის გადასინჯვა შესაძლებელია ერთობლივად, მხარეთა წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

მუხლი 9.

წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

მუხლი 10.

მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინებით.

მემორანდუმის მოქმედება შეწყდება წერილობითი შეტყობინების გაკეთებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 11.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2016 წლის 29 ნოემბერს, ქ. თბილისში, ორ ეგზემპლარად, ინგლისურ, თურქულ და ქართულ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

მემორანდუმის დებულებების განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, ინგლისურ ტექსტს მიენიჭება უპირატესობა.

თურქეთის კონკურენციის ორგანოს სახელით	**საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სახელით**
ომერ ტორლაკ	**გიორგი ბარაბაძე**
პრეზიდენტი	**თავმჯდომარე**